# ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო

№ 1-409/2023 11.12.2023 წელი ქ. ბათუმი

**სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს**
ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N49ა

აღსასრულებლად გეგზავნებათ, ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 05 დეკემბრის განაჩენის და განაჩენის აღსასრულებლად მიქცევის შესახებ განკარგულების ასლები **ჯუმბერ გელაძის** მიმართ.

დანართი: ,, ” ფურცლად.

სხდომის მდივანი

ინდირა თურმანიძე

9430108
26 01 2024
14

ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358, ტელ: (0422) 25-86-08, ფაქსი: (0422) 25-86-06. ე-მაილი: khelvachauri@court.ge

საქმე № 820100123008279773 №1-409/2023

9234614814323

www.ecd.court.ge

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა
## განაჩენის აღსასრულებლად მიქცევის შესახებ

05.12.2023 წელი

ქ. ბათუმი

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 5 დეკემბრის განაჩენით ბრალდებული ჯუმბერ გელაძე ცნობილი იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 303-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლის საფუძველზე ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 200 (ორასი) საათის ვადით.

უკანონოდ მოჭრილი 10 ერთეული ხე-ტყე მორები რაც ხელწერილი მიბარებულია ტყის მცველ რამინ პაპიძეზე გადაეცეს სახელმწიფოს.

განაჩენი აღსასრულებლად გადაეგზავნოს პრობაციის ბიუროს მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

განაჩენი ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას;

განაჩენის აღსრულების შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობოს ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს;

**მოსამართლე:** გოჩა ფუტკარაძე

9234609876665
www.ecd.court.ge

**განაჩენი**
**საქართველოს სახელით**

**5 დეკემბერი, 2023 წელი** **ქ. ბათუმი**

**ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო**
**მოსამართლე გოჩა ფუტკარაძე**
**სხდომის მდივანი რუსუდან სანიკიძე**

**ბრალდების მხარე** - პროკურორი ბუბა შავერდოვი
**დაცვის მხარე** - ადვოკატი დავით კეკელიძე

**ბრალდებული:** - ჯუმბერ გელაძე
**მამის სახელი:** - ნიაზი
**დაბადებული:** - 13.01.1990 წელი
**დაბადების ადგილი:** - საქართველო, ხულო
**პირადი ნომერი:** - 61009025029
**მოქალაქეობა:** - საქართველო
**განათლება:** - საშუალო
**მცხოვრები:** - ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი გელაძეები

**კვალიფიკაცია:** - საქართველოს სსკ-ის 303-ე მუხლის პირველი ნაწილი;

ღია სასამართლო სხდომაზე განიხილა სისხლის სამართლის საქმე №176171123001

**განსახილველი საკითხი:** - ხელვაჩაურის რაიონული პროკურატურის პროკურორის ბუბა შავერდოვის შუამდგომლობა ბრალდებულ ჯუმბერ გელაძის მიმართ, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე.

**აღწერილობით - სამოტივაციო ნაწილი:**

**1. ბრალდების არსი:**

ჯუმბერ გელაძეს ბრალი ედება მასში, რომ მან ჩაიდინა ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვა, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი.

**2. ჯუმბერ გელაძის მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში:**

მან, 2023 წლის 1 ნოემბერს, ხულოს მუნიციპალიტეტში, ხულოს სატყეოს ადმინისტრაციის ხიხაძირის სატყეოს მე-5 სამცველოსს მე-4 ლიტერში, უკანონოდ გაჩეხა ორი ძირი სოჭის ჯიშის 8,19 $m^3$ მოცულობის ხე-ტყე, რამაც აჭარის სატყეო სააგენტოს 1261,26 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა.

**3. საპროცესო შეთანხმებით მოთხოვნილია:**

ჯუმბერ გელაძე, ცნობილი იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 303-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლის საფუძველზე ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 200 საათის ვადით.

**4. მტკიცებულებათა ერთობლიობა:**

ინფორმაციულია შესაძლო დანაშაულის შესახებ, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის აჭარისა და გურიის რეგიონალური სამმართველოდან მიღებული მასალები, მოწმეების: ჯუმბერ გელაძის, ბესიკ შაინიძის, თენგიზ ბერიძის, ნუკრი თურმანიძის, რამინ პაპიძის, გიორგი ჭაღალიძის და დიმიტრი ბოლქვაძის გამოკითხვის ოქმები; ამოღების ოქმი და ამოღებული მორები, საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი თანდართული ფოტომასალით, და საქმეში არსებული სხვა ფაქტებისა და ინფორმაციათა ერთობლიობა.

**5. საპროცესო ნორმათა დაცულობა:**

- საპროცესო შეთანხმება კანონით დადგენილი წესით წინასწარ იქნა შეთანხმებული ზემდგომ პროკურორთან.

სასამართლო, საპროცესო შეთანხმების დამტკიცებამდე დარწმუნდა, რომ:

- საპროცესო შეთანხმება დადებულია წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სხვაგვარი ძალადობის, დაშინების, მოტყუების ან რაიმე უკანონო დაპირების გარეშე;
- საპროცესო შეთანხმება ნებაყოფლობით არის დადებული და ბრალდებული ნებაყოფლობით აღიარებს ბრალს;

ბრალდებული სრულად აცნობიერებს საპროცესო შეთანხმების, მათ შორის, ნასამართლობის, სამართლებრივ შედეგებს;

- ბრალდებულს ჰქონდა კვალიფიციური იურიდიული დახმარების მიღების შესაძლებლობა;
- ბრალდებული სრულად აცნობიერებს იმ დანაშაულის ხასიათს, რომლის ჩადენაშიც მას ბრალი ედება და იმ დანაშაულისათვის გათვალისწინებულ სასჯელს, რომლის ჩადენასაც ის აღიარებს;
- ბრალდებულისათვის ცნობილია საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული, კანონით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა ბრალის აღიარების შესახებ;
- ბრალდებული აცნობიერებს, რომ, თუ სასამართლომ არ დაამტკიცა საპროცესო

შეთანხმება, დაუშვებელია მომავალში მის წინააღმდეგ გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც იგი საპროცესო შეთანხმების განხილვისას სასამართლოს მიაწვდის.

**6. ბრალდებული აცნობიერებს, რომ:**

- მას აქვს დაცვის უფლება;
- საპროცესო შეთანხმებაზე უარის თქმის უფლება;
- სასამართლოს მიერ მისი საქმის არსებითი განხილვის უფლება;

გარდა აღნიშნულისა ბრალდებული ეთანხმება ბრალის აღიარების შესახებ საპროცესო შეთანხმების ფაქტობრივ საფუძველს. საპროცესო შეთანხმებაში ბრალდებულსა და პროკურორს შორის მიღწეული შეთანხმების ყველა პირობაა ასახული. ბრალდებული და მისი ადვოკატი სრულად იცნობენ საქმის მასალებს.

მოსამართლის მიერ ბრალდებულს განემარტა, რომ მის მიერ წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ფაქტზე საჩივრის შეტანა ხელს არ შეუშლის კანონის დაცვით დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას.

სასამართლო, საქმის მასალებისა და ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარების საფუძველზე მიიჩნევს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის $11^1$ ნაწილით გათვალისწინებული საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად წარმოდგენილია საკმარისი მტკიცებულებები. ასევე სსსკ-ის 212-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ გარემოებებზე მიიღო დამარწმუნებელი პასუხები, ბრალდება დასაბუთებულია და საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობაში მითითებული სასჯელი კანონიერი და სამართლიანია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლოს მიაჩნია, რომ უნდა დაკმაყოფილდეს ხელვაჩაურის რაიონული პროკურატურის პროკურორის ბუბა შავერდოვის შუამდგომლობა, საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ.

**7. სამართლებრივი შეფასება:**

ჯუმბერ გელაძემ, მის მიერ განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებით ჩაიდინა ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვა, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი, დანაშაული, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 303-ე მუხლის პირველი ნაწილით.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 212-ე, 213-ე, 215-ე, 216-ე, 255-ე და 277-ე მუხლებით

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ხელვაჩაურის რაიონული პროკურატურის პროკურორის ბუბა შავერდოვის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.

2. მხარეთა შორის დამტკიცდეს საპროცესო შეთანხმება.

3. ჯუმბერ გელაძე ცნობილი იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 303-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლის საფუძველზე ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 200 (ორასი) საათის ვადით.

4. უკანონოდ მოჭრილი 10 ერთეული ხე-ტყე მორები რაც ხელწერილი მიბარებულია ტყის მცველ რამინ პაპიძეზე გადაეცეს სახელმწიფოს.

5. განაჩენი აღსასრულებლად გადაეგზავნოს პრობაციის ბიუროს მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

6. საქართველოს სსსკ 215-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში მსჯავრდებულს განაჩენის გამოტანიდან 15 დღის ვადაში უფლება აქვს გაასაჩივროს განაჩენი ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მეშვეობით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში თუ საპროცესო შეთანხმება დაიდო იძულებით, მუქარით, ძალადობით, დაშინებით ან მოტყუებით, ბრალდებულს შეეზღუდა დაცვის უფლება; საპროცესო შეთანხმება ისე დაიდო, რომ არ არსებობდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის $11^1$ ნაწილით გათვალისწინებული საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებები, საქმის განმხილველმა სასამართლომ უგულებელყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსითა და საქართველოს სსსკ-ის XXI-ე თავით გათვალისწინებული არსებითი მოთხოვნები. თუ მსჯავრდებულმა დაარღვია საპროცესო შეთანხმებაში არსებული პირობა, დარღვევის გამოვლენიდან ერთი თვის ვადაში პროკურორი უფლებამოსილია ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში წარადგინოს საჩივარი საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გაუქმების თაობაზე.

7. განაჩენის გადასინჯვა დასაშვებია საერთო წესით ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო.

8. განაჩენი კანონიერ ძალაში შედის გამოცხადების მომენტიდან.

**მოსამართლე** **გოჩა ფუტკარაძე**